ოქმი:**ო37. 3723305001**
თარიღი:**01/11/2023**

ოქმი N 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის

2023 წელი, 30 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

14:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და

ტ.აროშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ.ჩავლეშვილი, პ.კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი; ა,ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე,მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა,თ. ნიკოლაიშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პიერველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29 -ხმით.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

ბექა თოიძე

ქეთევან ხომერიკი

დავით ჭაკნელიძე

მომხრე: დადგენილება მიღებულ იქნა 29 ხმით

წინააღმდეგი:

მუნიციპალიტეტის მერის პიერველი მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე მიესალმა საკრებულოს წევრებს,მუნიციპალიტეტის მერიისა და მასმედიის წარმომადგენლებს და ვრცლად ისაუბრა დადგენილების პროექტის შესახებ.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებელს. ჯამურად ბიუჯეტი იზრდება-4 845 737, 09 ლარით. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 16 ივნისის საბიუჯეტო ცვლილებით დადგენილი 70 273, 53 ათასი ლარის ნაცვლად, ბიუჯეტი განისაზღვრა 75 119,3 ათასი ლარით. მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ, დეტალურად ისაუბრა სამომავლო პრიორიტეტების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ.ბიგვავამ ორი კითხვით მიმართა გ. ღურჯუმელიძეს,“საბიუჯეტო ასიგნებების ზრდის ტემპი, როგორც წარმოდგენილი პროექტებიდან ჩანს, საკმაოდ მაღალია .რა ფაქტორებმა განაპირობა ბიუჯეტის ასეთი ზრდა? 2022-2025 წლების ბიუჯეთის ჯამური მაჩვენებელი,რომელიც პროგნოზული გათვლებით 400 მილიონს უნდა მიუახლოვდეს,თქვენი აზრით მიღწევადია? “

გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ბიუჯეტის აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ორი ფაქტორით.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,7 პროცენტით. შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 8,7 %-ს.რაც შეეხება 2022-2025 წლების ბიუჯეტის ჯამური ასიგნებების მიღწევას 400 მილიონი ლარის მოცულობით,დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: კი, მიღწევადია. საამისოდ ყოველგვარი წინაპირობა არსებობს. ბოლო ორი წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის სამომავლოდ დაგეგმილი განვითარება და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ტენდენციები, აღნიშნულის კონსტანტაციის დაფიქსირების საშუალებას მაძლევს. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ბიუიჯეტის

შესრულება გეგმიურად და სტაბილურად მიმდინარეობს, ბიუჯეტი კარგადაა დაბალანსებული, რაც ნიშნავს მისი დაგეგმვის ძალიან მაღალ ხარისხს.

კენჭისყრის დაწყებამდე ნაციონალური მოძრაობის წევრმა თათია ნიკოლაიშვილმა გაკეთა გაცხადება და აღნიშნა,რომ მუნიციპალიტეტის მერიისგან სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს არ გაეწიათ დახმარება,რომ ისინი დღემდე არიან ყურადღების მიღმა დარჩენილები,რაზეც მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განუმარტა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებულ თითოეულ მოქალაქეს მუნიციპალიტეტის მიერ გაეწია სათანადო დახმარება, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარემ გ. ჩავლეშვილმა,რომელმაც წარმოადგინა საკრებულოს კომისიების დასკვნების ნაერთი პროექტი, მიმოიხილა ბიუჯეტის ცვლილებებისა და დამატებების პროექტის ძირითადი პარამეტრები და პოზიტიურად შეაფასა დასამტკიცებლად წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი